



მთავარი | სიახლეები | მართლმსაჯულების სასახლე | სტრუქტურა | მოსამართლეები | სისტემა | ბიუჯეტი | კანონმდებლობა | ჯორჯია

[«უკან»](#)

[«წინა შემდეგი»](#)

საზედამხედველო

|                      |              |               |                                      |
|----------------------|--------------|---------------|--------------------------------------|
| <b>საქმის ნომერი</b> | 394საზ.-2006 | <b>შედეგი</b> | შესაბამისობაში მოვიდა ახალ კოდექსთან |
| <b>თარიღი</b>        | 15/02/2008   |               |                                      |

გადაწყვეტილება/განჩინება

394/საზ

15 თებერვალი, 2008 წელი  
ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**ლევან მურუსიძე (თავმჯდომარე),  
დავით სულაქველიძე, იური ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ა-ს საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 ოქტომბრის განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

ა ღ ნ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა ნ ი ლ ი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 13 მარტის განაჩენით თ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ნაწილობრივი შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 11 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

იგი სასჯელს იხდის 2001 წლის 9 ივნისიდან.

ამავე განაჩენით: ნ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 9 წლით, 186-ე მუხლის I ნაწილით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ნაწილობრივი შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

იგი სასჯელს იხდის 2001 წლის 6 დეკემბრიდან.

დ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 4 წლით, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 9 წლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), 91-ე მუხლის III ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (1960 წლის რედაქცია).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის III ნაწილით, ნაწილობრივი შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2001 წლის 9 ივნისიდან.

ვ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 3 წლით, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით – 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის III ნაწილით, ნაწილობრივი შეკრების წესით, მას საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

იგი სასჯელს იხდის 2001 წლის 9 ივნისიდან.

განაჩენით თ. ა-ს მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ყაჩაღობისათვის, ე.ი. თავდასხმისათვის სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევით.

მსჯავრდებული თ. ა-ძე ითხოვს მის მიმართ დადგენილი და კანონიერ ძალაში შესული განაჩენის დღეს მოქმედ სისხლის სამართლის კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც მსჯავრდებულ თ. ა-ს ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან განაჩენის ამ ნაწილში გადასინჯვის ახლად გამოვლენილი სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

მსჯავრდებულ თ. ა-ს დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 2-დან 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა მძიმე დანაშაულის კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს.

თ. ა-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყაჩაღობა, ჩადენილი ჯგუფურად, 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 6-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და წარმოადგენს მძიმე დანაშაულს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა დანაშაულის სიმძიმის კატეგორია.

საქართველოს სსკ-ის 593-ე მუხლის შესაბამის ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ახალი კანონის მიღება, რომელიც აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ თ. ა-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ხოლო მისი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, სარევიზიო წესით, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით და მიიჩნევს, რომ განაჩენი ნ. ი-ის, დ. კ-სა და ვ. ჯ-ის მიმართაც უნდა მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსთან, კერძოდ:

განაჩენის ის ნაწილი, რომლითაც მსჯავრდებულების ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, ამასთან, ნოდარ იასუშვილის ქმედებაც, დაკვალიფიცირებული სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან განაჩენის ამ ნაწილში გადასინჯვის ახლად გამოვლენილი სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

მსჯავრდებულ დ. კ-ის დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის III ნაწილით (ქურდობა, სადგომში უკანონო შეღწევით, 1960 წლის რედაქცია), შეესაბამება ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტს. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი შესაბამისი მუხლის სანქცია ითვალისწინებდა 3-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რაც მიეკუთვნებოდა მძიმე დანაშაულის კატეგორიას, ხოლო ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის ითვალისწინებს 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას და, სსკ-ის მე-12 მუხლის თანახმად, წარმოადგენს ნაკლებად მძიმე დანაშაულს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა დანაშაულის სიმძიმის კატეგორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულ დ. კ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის III ნაწილიდან (1960 წლის რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

მსჯავრდებულების \_ ნ. ი-ს, დ. კ-ის, ვ. ჯ-ის ქმედებები, ზემოაღნიშნული საფუძვლიდან გამომდინარე, სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ხოლო მათი ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).

ამასთან, პალატა თვლის, რომ თ. ა-ს, ნ. ი-ის, დ. კ-ის, ვ. ჯ-ის მიმართ დანიშნული საბოლოო სასჯელები მოქმედი სსკ-ის შესაბამისი მუხლების სანქციათა ფარგლებშია და

უბდა დაოიეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა ნ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის I ნაწილით, 593-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. ა-ის საჩივარი დაკმაყოფილდეს.  
 თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს შემდეგი მიმართებით:  
 მსჯავრდებულების \_ თ. ა-ის, ნ. ი-ის, დ. კ-ის, ვ. ჯ-ის ქმედებები, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), ხოლო - სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).  
 მსჯავრდებულ დ. კ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის III ნაწილიდან (1960 წლის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია).  
 განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის მსჯავრდებულთათვის დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.  
 განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

[<<უკან](#)

[«წინა შემდეგი»](#)